თანამდებობრივი ინსტრუქცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) დასაქმებული პირების ფუნქციები განისაზღვრება წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად:

ამ ინსტრუქციით განსაზღვრული ვალდებულებების გარდა, სააგენტოში დასაქმებული პირები ასრულებენ დირექტორისა და უშუალო უფროსის დავალებებს, რაც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ საქმიანობას, ფუნქციებსა და მოვალეობებს.

1. **დირექტორი:**

1.1. ახორციელებს სააგენტოს მიმდინარე მმართველობას;
1.2. წარმოადგენს სააგენტოს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
1.3. პასუხისმგებელია სააგენტოს ფუნქციონირებაზე;
1.4. პასუხისმგებელია დონორებთან და სამინისტროებთან ურთიერთობაზე;
1.5. ხელმძღვანელობს სააგენტოს თანამშრომლებს;
1.6. ასრულებს სააგენტოს დებულებით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს.
1.7. პერსონალურად აგებს პასუხს სააგენტოს ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.
1.8. სამინისტროსთვის დახმარების გაწევა დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სექტორის მართვაში;
1.9. პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობით საარსებო წყაროებთან დაკავშირებული სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესის დანერგვა და მართვა;
1.10. პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობით საარსებო წყაროების სექტორში კვლევების დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების ანალიზი.
1.11. დირექტორი ანგარიშვალდებულია მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე.